რედაქცია და კანტორა
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ბანკის სახლი
წლის-თავწერნი გაზეთის დასაბეჭდად მიმართონ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 ან „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირად-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან. ...
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція д.,
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул.
Дворянства.
Телефонъ № 339

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი „ცნობის ფურცლისა" გამოვა პარასკევს, 10 სექტემბერს.

---

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 2 მან. 50 კაპ.

---

გიორგი თეიმურაზის ძე ბარკალაია გულითადის მწუხარებით აუწყებს თვისთა ნათესავთა და ნაცნობთა, რომ 6 ენკენისთვეს გარდაიცვალა ძვირფასი ძმა მისი აზნაური

## პეტრე ივანეს ძე ბარკალაია

და სთხოვს მობრძანდნენ სოხუმში, საკუთარს სახლში, გარდაცვალებულის განსვენებაზე დასასწრებლად შაბათს, 11 ენკენისთვეს, სოხუმის სასაფლაოს საყდარში. (4—1)

---

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ ძალღიდია

## კავკასიის

სკოლის მესამე მასწავლებლის ადგილი და მასწავლებლობის მსურველმა თხოვნით უნდა მიჰმართოს გამგეობას. მასწავლებელს ჯამაგირი ექნება 480 მანეთი მხოლოდ იმ პირობით, რომ უსათუოდ გალობა იცოდეს და ხოროს შედგენა შეეძლოს. (5—2)

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი




## ქუმირი და კუმისი




ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.

მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.

იყიდება მხოლოდ ო. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.
(100—72) ო. კორონა.

მ. თავართქილაძეების წიგნის მაღაზიებში არის დანიშნული 20 ამ აგვისტოდან, 20 სექტემბრამდის

## იაფი ვაჭრობა

იაფად იყიდება ყოველივე სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და განსაკუთრებით ქართული საკუთარი გამოცემანი.

ძმათა თავართქილაძეებისავე სტამბებში იყიდება ერთი ნახმარი სტამბის დაზგა (Станокъ) 100 მანეთი.

იქვე ისყიდება 24 ცინკის „კლიშე" „ვეფხის ტყაოსნის" სურათებისა, სათაურით, სულ 50 მანეთი. (20—6)

მსურს ავიყვანო ბავშვები სახლში სარჩოზე ნებულად და ვინც ისურვებს მოვამზადებ მოსამზადებელი კლასებისთვის.

ადრესი: ქავთარაძის ქუჩა, წყლის მილის გვერდით, სახლი მიხმალსა. №26. (5—5)

## ისყიდება სახლები
ქ. ტფილისში

ავლაბარში, თელავის ქუჩა № 17, პირის-პირ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე იქვე სახლის მეპატრონესთან. (5—3)

## ექიმი
ე. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

## ექიმი
### გ. ს. გენცენფილდი

ეხლახან დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან.

არჩენს ავადმყოფებს ვენერიულის (სიფილისი) და საშარდეთა სენისაგან და გარეგანი (კანის) ტკივილებისაგან (ელექტრონით).

ავადმყოფთ ყოველ დღე ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე.

კუკიაში მადლის ქუჩა № 5.

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 60 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვებისა, საქირურგო, თვალისა და ქალების სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ზ. თოფურია. საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ა. მურატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. ძოწიანი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟის თვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. ზ. თოფურია

Лечебница С. В. Топурія въ Кутаисѣ

# ახალი ამბავი

* * * ისტორიულ საბუთების დაკარგვა. ჩვენს ისტორიკოსს ბ-ნს თ. ჟორდანიას ფრიად სამწუხარო ამბავი შემთხვევია. ამ ორის დღის წინად გორში მოდენილა სოფელ ბერშუეთიდან. თანა ჰქონია ჩემოდანი, რომელშიაც სდებია მრავალი მასალები საქართველოს ისტორიის შესახებ, სიგელ-გუჯრები, ხელნაწერები და, სხვათა შორის, ხელნაწერი ჩვენის საეკლესიო ისტორიის შესახებ, პარიზის მსოფლიო გამოფენისათვის დამზადებული. ჩემოდანი, ხსენებულის ქაღალდებით, სდებია ურემზე გლეხს. რომელსაც თვალყური ვერ უგდია და გორის რკინის გზის სადგურსა და სოფელ ბერშუეთს შუა დაჰკარგვია. ბ-ნ ჟორდანიას აზრით, ჩემოდანი უფრო თვით გორში უნდა იყოს დაკარგული.

ეს ამბავი ბ-ნს თ. ჟორდანიას მაშინათვე გორის მაზრის უფროსისათვის განუცხადებია, რომელიც მყისვე შესდგომია დაკარგულის ძებნას და დამკარგველისათვის დიდი იმედი მიუცია, უეჭველად ვიპოვით საბუთებსო.

იმედია ქართველი საზოგადოება გულს, ტკივილით მიეგებება ამ ამბავს და თავის მხრივაც ეცდება ხელი შეუწყოს მთავრობას ამ ძვირფას საბუთების აღმოჩენაში.

*** ერთი უცნაური მკვლელობა. ბაქოში ამ სამი დღის წინად, როგორც იქაური გაზეთი „კასპი“ იუწყება, ერთი უცნაური მკვლელობა მომხდარა. მასწავლებელს ბ-ნ ა. ნ. ჩიკვაიძეს რევოლვერით მოუკლავს მასწავლებლადვე ყოფილი ივანე სოკოლოვი. ჩიკვაიძის სიტყვით ხსენებულ სოკოლოვს ცოტათი შეზარხოშებულს ღამის 2 საათზე რაღაზედაც ჩხუბი დაუწყია ცოლთან და მერე მის ცემას მოჰყოლია. ცოლს კივილი დაუწყია. ამ კივილზე წამოვარდნილან პაწია ბავშვები და ტირილი მოურთავთ. ჩიკვაიძეს რამდენჯერმე მოუნდომია სოკოლოვის დამშვიდება, მაგრამ სოკოლოვს რევოლვერი ესროლნა, რაზედაც ჩიკვაიძესაც უსროლია რევოლვერი და მძიმედ დაუჭრია სოკოლოვი, რომელიც ალიონზე გარდაცვლილა, არავინ იცის თურმე, ნამდვილი მიზეზი ამ უცნაურის მკვლელობისა. ორნივე მკვლელი და მოკლულიც წვრილ ცოლშვილის პატრონნი არიან.

*** **სოხუმი.** საბჭოს დადგენილების განსაჩივრება. ჩვენს დამტირებელს ქალაქის თავს ძალიან გაუტკბა კანონის დათურგვნა და თავის ქეიფზე ტარება ჩვენის ქალაქის ხმოსნებისა. როგორც უწყიან მკითხველებმა, საბჭოს უკანასკნელს კრებაზე, სხვათა შორის, გადასწყვიტეს მოწვევა ქალაქის ხარჯთ-ამკრეფისა და მისთვის წლიურად 480 მანეთის ჯამაგირის გაჩენა. ეს კითხვა სამოქალაქო დებულების 73 მუხლის თანახმად დახურულის კენჭის ყრით უნდა გადაწყვეტილიყო. მაგრამ ბ-ნმა ბერენსმა გაიადვილა საქმე და მხოლოდ თავის ჩვეულებრივ „ადგომა-დაჯდომით“ მოუღო ბოლო ამ კითხვასა. ხმოსანმა ბ-ნმა თ. სახოკიამ განცხადება მიართვა ბ-ნს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს, ესეთი უკანონობა ჩაიდინა სოხუმის ქალაქის თავმა და საბჭომ და გთხოვთ ყურადღება მიაქციოთო.

უეჭველია, ამ მთელს რიგს უწესოებისას, რომელიც სოხუმის საბჭოში ხდება ბ-ნის ბერენსის წინამძღოლობით, მიავრობა ყურადღებას მიაქცევს და ბ-ნს ბერენსს ასწავლის კანონისა და სამართლის პატივისცემას.

*** **ხაშური.** გლეხკაცების მდგომარეობა. თუმცა-ღა პატარაა სოფელი ზ.ნავი, მაგრამ სამაგიეროთ მით დაჯილდოვებულია, რომ შემკობილია ყოველისფრით, და არც ჩამოუვარდება ზოგიერთ სოფლებს არაფრით ამ სოფელს წინ ჩამოუდის მშვენიერი მტკვარი, და გარშემო კი შემორტყმული აქვს მაღალი და კლდიანი მთები, ასე რომ ზანავი მაღალი მთების და მტკვრის შუა გამომწყვდეული, შუაზედ არა დიდი პატარა მინდორ-ვაკეა დაცემული, რომელზედაც სოფელია გაშენებული.

ახლა მივაქცევ დიდ ყურადღებას გაზეთ „ივერიაში“ მოთავსებულ წერილს, ჩვენ დიდათ პატივცემულ ანტონ ფურცელაძისას, გლეხ კაცის საკუთარი მიწა-წყლის უქონლობის გამო. მაქვს პატივი მოვიყვანო (დაწვრილებით) ცნობები სოფელ ზანავში მცხოვრებლების შევიწროვებულ მდგომარეობისა, თუმცა და დაგვიანებულია ეს წერილი, მაგრამ ვვეპატიოს, ერთი რუსული ანდაზისა არ იყოს: лучше поздно чѣмъ никогда-ო, სოფელ ზანავში სცხოვრებენ მარტოთ გლეხნი, სულ 18 კომლია, რომელიც შეადგენს 137 სულს გლეხს, 6 კომლი გლეხი, რომელიც შედგება 54 სული, ამათ არა ვითარი საკუთრება არა აბადიათრა, ამათ უჭირავთ 12 დღიური ნადელი მიწა, თავის ბაღიან-ვენახიან და სახლ კარით. აქ მკითხველი ადვილათ მიხვდება, თუ რომ ცოტათ მაინც ჩაფიქრდება, რა ცხოვრება უნდა იყოს 54 სული კაცის 12 დღიური ნადელის მქონესი და ისიც ბაღიან-ვენახიან და სახლ კარითა, დანარჩენი 83 სული გლეხებიც იმნაირ ტაფაზედ იხრაკებიან როგორც ზემოთ ნაჩვენები 54 სული გლეხი, ამ გლეხებს არა აქვსთ არაფერი თავიანთ საკუთრებათ, ხოლო-ღა ერთი სული შერჩენიათ.

რადგან ცხოვრება ძრიელ უჭირთ ამ სოფელში მცხოვრებ გლეხებს მამულის უქონლობით, ისინი უმეტესი ნაწილი სალალო მიწებს იღებენ და სთესავენ, ვისაც ეშოვება ამავე სოფელში ვისაც არა და სხვა და სხვა სოფლებში იღებენ სალალო მიწებსა ლუკმა პურის მოსაყვანათ, უმეტესი ნაწილი სალალო მიწები იმისთანა მოსავალს აძლევს გლეხს, რომ ქათამ-წიწილის გამოკვება გაუჭირდება წლითი წლობამდე გლეხსა, მაგრამ ამითი გლეხ-კაცს არაფერი შველის... ხელმწიფის გარდასახადს არაფერი ელალატება უნდა გადიხადოს, ახლა ბატონი ვართ, მღვდელიო და ბევრი წვრილ წვრილი გარდასახადი, თვითონ კი ბევრჯერ მშიერ ტიტვლები რჩებიან და სჯვის ხელში შემჩერონი აი ამნაირ ტანჯვა წვალებით ისტუმრებენ ყოველ გვარ გარდასახადსა თითქმის უმამულო გლეხები.

გიგო ზანაველი

*** **ჩხარი** ორი დაბის შეცილება. შორაპნის მომრიგებელი სასამართლოს ჩხარის განყოფილების დაბა ჩხარში გახსნამ ზესტაფონს დიდ-ძალი ხალხი მოაკლო, რასაც უტყუარი ცუდი გავლენა ექნება ზესტაფონის მოვაჭრე ხალხის ვაჭრობაზედ... რომ ჰკითხო დღეს ზესტაფონელ „ადვოკატებს“ ჩხარის სასამართლოს განყოფილების შესახებ ერთ ხმაზე გაიძახიან: ჩხარში დროებით არის სასამართლოს განყოფილება გახსნილიო გამოსაცდელათ, თუ რამდენათ შეიძლება გამოდგეს სხვა და სხვა გარემოებისა გამო სასამართლოს განყოფილების ჩხარში დამტკიცებაო; ასეა თუ ისეა მომავალი დაგვანახვებს ყველაფერსაო... ქიათურაც ამ ჩხარის საქმეს დაედევნა და უმაღლეს სათავეში წყალს აამღვრევს თუ რამე ახერხა. ამათ პირდაპირ ტელეგრამმით თხოვეს იუსტიციის მინისტრს სასამართლოს გადმოტანა ქიათურაში და ამისთვის მუდამ წელს რამოდენიმე ათას მანეთს კიდევ თვითონ ქიათურა კისრულობს სხვა და სხვა ქვა გუნდის მარჯვე უტყუარი წყაროებიდგან. ტელეგრამმა თუმცა მეტად მოკლედ ლაკონიურად იყო გამოთქმული, მაგრამ ფასი კიდევ მაინც ოცდახუთ მანეთზედ მეტი გადახდათ. ჩხარის მოვაჭრე სომხები, ყველა ამ ამბის წარმომდგენლები, აქ ეამად დიდ ვალალში არიან ჩავარდნილი: „ვაი თუ სასამართლოს განყოფილება ხელიდგან გამოგვაცალონო და ჩაგვიაროს ტყუილა ამდენმა საქმემ და მეცადინეობამაო“. ეჭვ გარეშეა, რომ სასამართლოს განყოფილება აქ სამუდამოთ დამტკიცდება, ვინაიდგან რომ ჩხარისთანა მოხდენილი ბოლაზი ადგილი მთელს შორაპნის მაზრაში არსად არის.

— გაჭირვება უექიმობით. ჩხარში ეს 10—15 წელიწადია რაც აფთიაქარმა მ. ქათამაძემ მოიყვანა ერთი გამოცდილი დ საქმის მუცითი ფერშალი რუსი-პოლიაკი ადამ ავგუსტინოვიჩი სკლიზმანი, რომელსაც წილად ხვდა თითქმის ზესტაფონსა და ქიათურას აქეთ და აგრეთვე ოკრიბაშიაც ავადმყოფების მოვლა-პატრონობა. მაგრამ, სამწუხაროდ, ფერშალი სკლიზმანი ამოდენა აუარებელ სოფლებს ვერ აუდის და ამით ბევრი ავადმყოფები უპატრონოთ რჩებიან ღვთის ანაბარა. ხშირად მომხდარა ხოლმე, რომ ხრეითიდგან ჩხარში ფერშალი მიუწოდებიათ, მაგრამ ამ დროს ბ. სკლიზმანი ყოფილა ან ოკრიბაში ან სხვაგან სადმე თავის პაციენტებთან... ეს ფერშალი, როგორც სანდო პირებმა გადმოგვცეს, თავის წილ ხდომილ მეტად ვრცელ-ფართე რაიონში, ორი ათას მანეთს არ ჯერდება წელიწადში, თუმცაღა რომ ამისთანა ფერშლები კიდევ რომ ყავდეს ჩხარს ორი და სამიც, [illegible] ცილებელს საჭიროებას შეადგენს ჩხარისთვის და ქვეც თუ აუვა ამდენ ურიცხვ სოფლებში ავადმყოფების მოვლა პატრონობას. ყველაზედ სასურველია, რომ ჩხარში ერთი ვინმე უმაღლესი სწავლა განათლებით აღჭურვილი მკურნალი (врачъ) დაბინავდებოდეს. ამის სისრულეში მოყვანა მეტად ადვილათ შეუძლიან ჩხარის აფთიაქარს ბ. ქათამაძეს, მით უფრო რომ მედიცინის ფაკულტეტზე კურს დამთავრებულები ამ ჟამად მრავლისაგან უმრავლესნი მოიპოვებიან ყველა დაბა სოფლებში,

გულ კეთილი მუშაკი აქაური აფთიაქარის სიქველეს ხომ საზღვარი აღარ აქვს, მე თვითონ ამ სტრიქონების დამწერი უტყუარი მოწამე ვარ რომ მრავალი გაჭირვებულისა და საწყლებისთვის მიუწოდებია წამლები და წამლებთან ხანდისხან სასმელ-საჭმელიც უსასყიდლოდ. მრავალ ქვრივი და ობლისთვის საქმე გაუკეთებია სრულებით უსასყიდლოდ თავისი ხარჯით. ეს კაცი ისეთი მიმართულებისა არის, რომ თავის საკუთარს საქმეს საზოგადო საქმეს უფრო ამჯობინებს; ურიცხვი ფაქტები მოწმობენ მაზედ, რომ ბ. ქათამაძე ადგია ქრისტიანულ გზას და თავის კერძო საქმეზედ მეტად, საქვეყნო საზოგადო საქმეზედ უფრო ზრუნავს! ღმერთს ექნას რომ სხვა აფთიაქრებსაც წაებაძოს ყველაფერში ჩხარის აფთიაქრის ბ. ქათამაძისთვის.

პროვინციელი მეთვალყურე

# მცენარეთა მეტყველება

(ვუძღვნი მოსკოვის ქართველ სტუდენტებს)

## ანატომია.

(შემდეგი *)

უჯრედების ქსოვილების შორის უნდა მოვიხსენოთ შემდეგნი:

1) საფარავი ქსოვილი (кроющая ткань). ეს ქსოვილი შედგება ერთი შრე (слой) პარენხიმიური უჯრედებისაგან; ამ ქსოვილის დანიშნულობა მდგომარეობს იმაში, რომ ჰფარავს ფოთლების შიგნეულს და მწვანე ღეროებს; ამ ქსოვილის უჯრედებს აკრავთ ძლიერ თხელი კანი, რომელსაც პროპკის თვისებანი აქვს და ფოთლებიდან ვერა გზით ვერ გამოვიდოდა ორთქლი, რომელიც ჩნდება ფოთლების უჯრედებში; აგრეთვე ვერას გზით ვერ შევიდოდა ფოთლის უჯრედებში ჰაერი და სხვა ჰაეროვანი ნივთიერებანი, რომელნიც ძლიერ საჭიროა მცენარეთათვის, რომ ფოთლებში ალაგ-ალაგ ნაჩვრეტები არ ყოფილიყო.

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 902.

ამ ნაჩვრეტებს უწოდებენ სასუნთქავ ნასვრეტებს (дыхат. устьица); ეს ნასვრეტები გაფანტულნი არიან უმეტესად ფოთლის ქვევითა მხარეზე და წვანე ღეროებზე. ყოველი ნასვრეტი შესდგება ორი უჯრედიდან, რომელნიც მიაგავან ლობიოს მარცვლებს. ეს უჯრედები შეხრილი მხრით არიან ერთი მეორისაკენ მიმართულნი, ისე რომ უჯრედ და უჯრედ შუა პატარა ნაჩვრეტი რჩება. აი მარ- ამ ნაჩვრეტებიდან შედის ჰა- და გამოდის ორთქლი; ნაჩვრეტი უერთდება უჯრედ შუა სივრცეს (межклѣт. просг.) ზოგიერთნი უჯრედნი საფარავი ქსოვილისა იძლევიან პატარა ბუსუსებს, მაგალითად ჭინჭრის ბუსუსები შესდგებიან საფარავი ქსოვილის უჯრედების ბუსუსებისაგან, რომელშიაც მოიპოება ჭიანჭველის სიმჟავე (мурав. кислата) როცა ჩვენ ხელს ვახლებთ ჭინჭარს, ამის ნესტარმაგვარი ბუსუსი შედის ჩვენ რბილ კანში, შემდეგ შიგ სტყდება და ის სიმჟავე, რომელიც მასშია, რჩება ჩვენ რბილში და, როგორც სიმჟავე, შუშხავს ჩვენ კანს.

ის თხელი კანი, რომელიც იფარავს მცენარეს გვალვისაგან, მოცულია (покрыто) ერთგვარი ნივთებით, რომელიც აძლევს ნებას წვიმის ნამს დაასველოს ფოთოლი და ღერო; ამ ნივთიერებას ისეთივე თვისებანი აქვს, როგორც წმინდა სანთელს. ზოგიერთი მცენარების ფოთლებზე იმდენი გროვდება ეს წმინდა სანთელი, რომ ჰფხეკავენ და ჰყიდიან. ამ წმინდა სანთელს სახელად ჰქვიან მცენარეს წმინდა სანთელი (растительны воску), ამ თხელ კანს, რომელიც აკრავს საფარავს ერთი შრედგან შედგენილ ქსოვილს, უწოდებენ კუტიკულას (кутикула). საფარავ ქსოვილში არიან სასუნთქავი ნაჩვრეტები; როცა გვალვა[illegible]გება, ნაჩვრეტები სრულებით პა[illegible]რავდება და მცენარეს არ აძ[illegible]ევს ნებას დახარჯოს ის წყალი, [illegible]მელიც მაში ხენიადაგშია (почва). როცა ხენიადაგში და მცენა[illegible]ეში ბევრი წყალია, მაშინ ნაჩვრეტ[illegible]თ ესდიდდებიან და მცენარეს შეუძლიან ბევრი წყალი დახარჯოს.

მ. ზაალიშვილი.

(შემდეგი იქნება)

## სამკურნალო ცნობა

—

სიფილისი და ექიმის ბ. შეატერის წამლობა. *) სიფილისით ავადმყოფებზედ დიდი ზედ გავლენა აქვს თამბაქოში მოთავსებულს მხამს (ნიკოტინი), რომელიც ადამიანს პირის ზედა კანს უშშრავს და როდესაც მას ზედ ერთობა სიფილისის შხამი, მუწუკდება და ერთი ორად ძნელი მოსარჩენი ხდება. ამიტომაც დედათა სქესს იშვიათად ემჩნევათ ხოლმე ამ გვარი წყლულები, რადგანაც მათში თამბაქოს მწევარნი იშვიათნი არიან. ჩაის, ყავას, კაკაოს და სხვა ამ გვარ სასმელებსაც სიფილისით ავადმყოფზედ მავნებელი ზედ გავლენა აქვს, რადგანაც ყველა ეს სასმელები აღელვებენ ადამიანის სხეულს და ემართება ადამიანს უძილობა და მისვენებითი ცხოვრება. ამიტომაც სიფილისით ავადმყოფმა უარ უნდა ჰყოს ზე მოყვანილი სასმელები და თამბაქო და თუ სრულიად ვერ შეიძლებს მათ დათმობას, მაინცა და მაინც ძალიან მცირედ უნდა იხმაროს, და მას მაგიერ ძალა დაატანოს რძის სმას. წამლობის დროს უმთავრესი ზედ გავლენა ჰიგიენურს და ყოველ დღიურს ცხოვრებასა აქვს. ზემოთ მოყვანილის მაგალითებიდგან სჩანს, თუ სიფილისით ავადმყოფმა როგორ უნდა შეუწყოს ხელი თავის თავს.

რადგანაც სიფილისით ავადმყოფისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ზომიერი ცხოვრება, ამიტომ იგი აუცილებლივ უნდა ერიდოს მოჭარბებულს ფიზიკურს და გონებითი მუშაობას, უძილობას, მღელვარებას, იკვებოს ნოყიერის ადვილად მოსანელებელის საჭმლებით. სუფთა შეინახოს პირ-ბადე, ტანის ზედა კანი, უნდა რაც შეიძლოს ხშირად მიიღოს ვანები და უფრო უკეთესია იბანოს აბანოში, სახლი რომელშიაც სცხოვრობს, იყოს უნესტო, და სითბო არ აღემატებოდეს 15—16 გრადუსს. ავადმყოფი უნდა ერიდოს გაცივებას და ოთახში დამდგარს პაპიროსის ბოლს, ისე რომ ყოველთვის უნდა ისუნთქოს სუფთა და გაწმენდილის ჰაერით. ერთი სიტყვით, სნეული უნდა ეცადოს მას, რომ აიცილოს ყველა ის მავნებელი მიზეზები, რაც აძაბუნებს მის სხეულს.

აი მხოლოდ ამ პირობების შესრულების შემდეგ მოქმედობს სასარგებლოდ იოდის მგზავსის კალით და ვერცხლის წყლით წამლობა და იმედი უნდა იქონიოს სნეულმა, რომ იგი სრულიად განთავისუფლდება ამ სენისაგან.

ივ. კავთელი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნობ. ფურც.» № 907.

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

გამოჩენილ ჰაერონავტის გარდაცვალება საფრანგეთში. გარდაიცვალა შესანიშნავი ჰაერონავტი გასტონ ტისანდიე. ტისანდიე დაიბადა 1843 წელს. ქალაქს პარიზში College be France-ში სწავლის დამთავრების შემდეგ ტისანდიე ერთის ლაბორატორიის დირექტორად იქმნა დანიშნული. ათი წლიწადი ასრულებდა დირექტორის თანამდებობას და ამ ხნის განმავლობაში ხშირად სამეტეოროლოგიო გამოკვლევებს ჰაეროსტატის შემწეობით ახდენდა ხოლმე. პირველად ტისანდიე ჰაეროსტატით 1868 წელს აფრინდა ტისანდიე ჰაეროსტატით 1870 წელსაც აფრინდა პარიზიდგან, როდესაც გერმანელებმა ამ ქალაქს ალყა შემოარტყეს და ქალაქიდგან არავის უშვებდნენ. ერთხელ ტისანდიემ ჰაერში 23 საათი დაჰყო. მეორედ უბედურება შეემთხვა: იმის ამხანაგები დაიღუპნენ, სიკვდილს გადარჩა მარტო თვით ტისანდიე. ტისანდიე ცნობილია როგორც მწერალიც. 1873 წელს მან დააარსა ახალი სამეცნიერო ჟურნალი „La Nature“.

## დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

**პრეტორია.** დღეს ინგლისის აგენტს გარდაეცა ტრანსვაალის პასუხი ინგლისის უკანასკნელ დეპეშაზედ.

**პარიზი.** ფაბრმა გადასწყვიტა, რომ 45 კაცი, რომელთაც შეთქმულობაში მონაწილეობის მიღების ბრალი ედებოდათ, სამართალში არ უნდა იქმნან მიცემული; ამ რიგად ბრალდებულთა რიცხვი სულ 22 კაცზედ ჩამოვიდა.

შარლ დიუპუიმ განაცხადა, რომ ნაციონალისტთა იმ ჯგუფის საქციელს, რომელმაც ლაპარაკი აღძრა პალატის მოწვევის შესახებ, რესპუბლიკანელნი ზიზღით უყურებენ, ამიტომ მე ამ აგიტაციას მხარს არ დავუჭერო.

**პარიზი.** შაბროლის ქუჩაში მყოფთ წამალი მოითხოვეს ავადმყოფისათვის. ლეპინმა შეუთვალა: თქვენი ავადმყოფი შეიძლება სატუსაღოს საპყრობილეში გაიგზავნოსო.

**პარიზი.** „Liberte“-ს თანამშრომელს ლაპარაკი ჰქონდა რადიკალ-სოციალისტთა ჯგუფის სამუდამო კომისიის წევრთან ლაგასთან, რომელიც გუშინ ვალდეკ-რუსოსთან იყო. ლაგასს უთქვამს, ვალდეკ-რუსსომ ისეთი საბუთები წარმომიდგინა, საიდგანაც აშკარად მტკიცდება შეთქმულობის არსებობაო. ხვალ ყველა რესპუბლიკანელნი დარწმუნდებიან ამაშიო. არც ერთი გენერალი არ არის ჩარეული შეთქმულობაშიო. მე დარწმუნებული ვარო, უთქვამს ლაგასს, რომ დერულედი განმარტოვებით მოქმედებდაო. რესპუბლიკას დიდი შიში მოელოდაო.

**ლონდონი.** როგორც პრეტორიიდგან იუწყებიან, ტრანსვაალი თავისს პასუხში უარსა ჰყოფს ინგლისის მოთხოვნილებებ[illegible] ტრანსვაალში ყველა ომს [illegible]დინებული, ბურებმა (ტრანსვაალის მცხოვრებნი არიან) გადასწყვიტეს იბრძოლონ თავისუფლებისათვის ეხლა, რადგანაც დარწმუნდნენ, რომ შემდეგ ბრძოლას ვერ აიცილებენ თავიდგან.

**ტამატავა.** გუშინ ოფიციალურად იქმნა შემოწმებული შავი ჭირის გაჩენა აქ.

**ტაშკენტი.** დღეს ოლქის სასამართლოს კანცელარიაში პოლკოვნიკმა სტაშევსკიმ რევოლვერი ესროლა და მძიმედ დასჭრა გაზეთის „Русск. Турк.“-ის რედაქტორ-გამომცემელი სმორგუნერი, რომელიც ნახევარის საათის შემდეგ გარდაიცვალა.

**პარიზი.** პრეზიდენტი ლუბე დროებით პარიზში დაბრუნდა. უმაღლესი სამოსამართლო ხვალ დაიწყებს მოქმედებას.

წარსულ ღამეს ორი კაცი დააპატიმრეს, რომელნიც სურსათს ისროდნენ იმ სახლის თავზედ სადაც გერენი და მისი ამხანაგები არიან. დაპატიმრებულნი გაანთავისუფლეს.

**პარიზი.** დააპატიმრეს კიდევ ორი კაცი, რომელნიც სცდილობდნენ სურსათის გადაცემას გერენისათვის. ერთი პოლიციის კამისარის შვილია.

**ვენა.** გამოცხადებულია, რომ პოლკოვნიკი შნეიდერი დათხოვნილ იქმნა სამხედრო აგენტის თანამდებობიდგან. აგენტად შნეიდერი პარიზსა და ბრიუსელში იყო.


## განცხადებანი

# ემეზს ადგილს

## ცოლ-ქმარნი

პირველი კისრულობს მზარეულობას, ხოლო მეორე—მოახლეობას, შინ მოსამსახურეობას. კისრულობს აგრეთვე სარეცხის გარეცხასაც.

ადრესი. მთაწმინდა, შესტეპანოვის სახლი № 25.

დაიბეჭდა და გაისყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში.

თხზულებანი

# ა. ს. პუშკინისა

ავტორის პორტრეტით და ბიოგრაფიით

ფასი 50 კაპ.



მოსკოვის სავაჭრო სახლი

მ. ლ. როზენბლატ და შვილისა

ეს ფირმა საკმაოდ ცნობილია მთელს კავკასიაში და ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მან გახსნა განყოფილება

ტფილისში სასახლის ქუჩაზე, სათავად-აზნაურო ქარვასლაში,

სადაც იყიდება

ჯიბისა, კედლისა და გამაღვიძებელი საათები

Отдѣленіе Московскаго Торговаго дома

М. Л. Розенблатъ и С-нъ

въ Тифлисѣ, Дворцовая ул. д. Дворянства

(10—7)

---

გვსურს რა უფრო გავაფართოვოთ ჩვენი სამანუფაქტურო ვაჭრობა, რომელიც ამ ჟამად სწარმოებს ყარსსა და ალექსანდროპოლეში ჩვენ ამ წლის აგვისტოდან ხელ-ახლად გავხსენით

სამანუფაქტურო სავაჭრო

ქ. ტფილისში, სიონის ქუჩაზე ანანოვის ქარვასლაში 1, 2, 3 და 4 №№.

იქვე საქონლის საწყობი გვაქვს შემდეგის ფირმით:

ძმათა ა. მ. და ს. ბალდასაროვებისა. (10—7)

---

გ. გუნიას სტამბა

ბეჭდავს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს, სადარბაზო ბარათებს და სხვა.

ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია.

---

!!მიაქციეთ ყურადღება!!

ჩინეთის მაღაზია

დ. ფ. დემენტიევისა

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის [illegible] სახლს გვერდზედ.

იგემეთ ჩაი პირველი მოკრეფისა 1898 წლისა

მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და პარტიობით

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანეთზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და საოჯახო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას

საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია საჩუქრებისა და ნობათებისათვის

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!!

(100—67)

---

ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА ГАЗЕТУ

„СВѢТЪ"

„СЪ ПРИЛОЖЕНІЕМЪ РОМАНОВЪ"

съ пересылкою и доставкою

На четверть года:

съ 1 января по 1 апрѣля . . . . . .
« 1 апрѣля по 1 іюля . . . . . . . 2 р.
« 1 іюля по 1 октября . . . . . .
« 1 октября по 31 декабря . . . . .

На полгода:

съ января или съ 1 іюля . . . . . . . 4 —

На девять мѣсяцевъ:

съ 1 апрѣля . . . . . . . . . . . 6 —

На годъ:

съ 1 января . . . . . . . . . . . 8 —

На иные сроки подписка не принимается.

ПРИМѢЧАНІЕ. Подписка на «Приложеніе Романовъ» къ газетѣ «СВѢТЪ» принимается лишь одновремнно и не раздѣльно съ газетою на одинъ и тотъ же срокъ. Лица, выписавшія одну газету, могутъ получить впослѣдствіи «Приложеніе Романовъ» не иначе, какъ выписавъ новый экземпляръ газеты съ «Приложеніемъ».

Адресъ Редакціи: спб. Невскій, 138.

Редакторъ-Издатель В. В. Комаровъ.

---

РОССІЯ

ГАЗЕТА ПОЛИТИЧЕСКАЯ и ЛИТЕРАТУРНАЯ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА н ГАЗЕТУ „РОССІЯ"

| | съ пересылкою въ россія р. | к. | съ пересылкою за границ. р. | к. | | съ пересылкою въ россія р. | к. | съ пересылкою за границ. р. | к. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| На годъ . . . | 12 | — | 24 | — | На 6 мѣсяц. . . | 6 | 60 | 13 | 20 |
| » 11 мѣсяц. . | 11 | 10 | 22 | 20 | » 5 » . . | 5 | 70 | 11 | 40 |
| «10 » . . | 10 | 20 | 20 | 40 | » 4 » . . | 4 | 80 | 9 | 60 |
| » 9 » . . | 9 | 30 | 18 | 60 | » 3 » . . | 3 | 90 | 7 | 80 |
| » 8 » . . | 8 | 40 | 16 | 80 | » 2 » . . | 3 | — | 6 | — |
| » 7 » . . | 7 | 50 | 15 | — | » 1 » . . | 1 | 60 | 3 | 20 |

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:

Въ С.-Петербургѣ, въ главной конторѣ газеты «Россія (Невскій № 86

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ: для служащихъ-гретлямъ чрезъ ихъ казначеевъ; неслужашіе же могутъ обращаться съ ои заяваенями въ С. Петербургѣ (Невскій № 86).

З перемѣну адреѣсса уплаиивается 40 коп. Отделрные нумера газеты «Р эія» продается по 6 коп.

ПРІЕМЪ И ПЕЧАТАНІЕ ОБЪЯВЛЕНІИ:

Плата за объявленіе: впереди текста за каждую строку петита по 50 к позади текста по 25 коп. Контора газеты открыта ежедневно съ 10 ч. 6 часовъ по полудни: редакція газеты открыта съ 1 часу пополудни до 1 часовъ вечера. Редакторъ принимаетъ для личныхъ объясненій ежедневно 2 до 5 часовъ пополудни.

Доставляемыя въ редакцію статьи должны бытъ за подписью и съ адрес автора, безъ чего онѣ печмтаемы не будутъ. Статьи, доставляемы безъ начевія условій, оплачиваются по усмотрѣнію редакціи. Рукописи яне вощаются.

Завѣдуютъ отдѣлами:

1) Финансовымъ, экономическимъ, земскимъ и крестьянскимъ: Г. П. Сазоновъ,
2) Литературнымъ и политическимъ: А В. Амфитеатровъ.
3 Научнымъ: профессоръ П. И. Ковалевскій, dr. И. Л. Янушкевичъ.
4) Внутреннихъ вопросовъ: М. П. Петровъ.
5) Иностраньымъ: Л. Ю. Гольштейнъ.
6) Музыкальнымъ: профессоръ Н. Ѳ. Соловьевъ и Я. А Рубинштейнъ.
7) Художественнымъ И. Ф. Порфировъ.
8) Хроники: А Н. Чермный.
9) Провинціальной хроники: М. В. Головинскій.
10) Театральной хроники: Ю. . ляевъ.
11) Московскимъ: В. А. Гъляровс

Общественный фельетонъ—по воресеньямъ— Old Gentleman.

Провинціальный фельетонъ—по субботамъ—В. М. Дорошевичъ.

По средамъ печатается «Милліонеръ» повѣсть В Г. Авсѣенко.

Постоянный корреспондентъ въ Парижѣ: А. П. Плетневъ.

Корреспондентъ въ спеціальной командировкѣ по недороднымъ мѣстностямъ Сергѣй Печоринъ (С. А. Сафоновъ-

Постоянные собственные корреспонденты въ Вѣнѣ, Львовѣ, Варшавѣ Софіи, Константинополѣ, Одессѣ и т.

(8—8)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Сентября 1899 г. [illegible] რედაქტორ-გამომცემელი [illegible]